



სხვადასხვანაირი ძმები – მცენარეთა და სოკოების გამოყენება გურიასა და რაჭაში

რაინერ ვ. ბუსმანი*, ნარელ ი. პანიაგუა სამბრანა, შალვა სიხარულიძე, ზაალ კიკვიძე, დავით ქიქოძე, დავით ჭელიძე, ქეთევან ბაცაცაშვილი, რობი ე ჰარტი

Repatriation - Research

თავდაპირველად გამოქვეყნდა (Bussmann, R.W., Paniagua Zambrana, N.Y., Sikharulidze, S., Kikvidze, Z., Kikodze, D., Tchelidze, D., Batsatsashvili, K., Hart, R.E. (2018). Unequal brothers – Plant and fungal use in Guria and Racha, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Indian Journal of Traditional Knowledge* 17(1), 7-33).

აბსტრაქტი

გურია და რაჭა საქართველოს ისტორიული მხარეებია, განლაგებული დიდი კავკასიონის დასავლეთი ნაწილის სამხრეთი მაკროფერდობებსა (რაჭა) და მცირე კავკასიონის დასავლეთში შავი ზღვისკენ (გურია). ჩვენი შრომა სწავლობდა მცენარეთა ტრადიციულ გამოყენებას გურიასა და რაჭაში. სავსე სამუშაოები ჩატარდა 2014 და 2016 წლებში, ივნის-აგვისტოში. ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარებით გამოიკითხა 32 რესპონდენტი (10 ქალი და 22 კაცი), მათგან წინასწარი სიტყვიერი თანხმობის მიღების შემდეგ. კვლევის რეგიონში აღრიცხული იქნა 338 მცენარის სახეობა, რომლებიც 252 გვარსა და 101 ოჯახს ეკუთვნის და ოთხი მცენარე, რომელთა სახეობამდე გარკვევა ვერ მოხერხდა, ასევე 20 სოკოს სახეობა და კიდევ 15 სოკო, რომელთა სახეობამდე გარკვევა ვერ მოხერხდა, მთლიანობაში სულ ცოტა 16 გვარის და 16 ოჯახის სოკო. ამათგან, 223 სახეობა ველურად გროვდებოდა, 110 ბალ-ბოსტნებში მოყავდათ, ხოლო 56 გროვდებოდა როგორც ველურ ბუნებაში, ისე ბალ-ბოსტნებში. გამოყენებული მცენარეების სახეობები რეგიონის შიგნით უმთავრესად თანხვედრილი

იყო, ოდნავ მეტი იყო სხვაობები მცენარეთა გამოყენებაში. გარემოზე მორგების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ცვალებადობის დიდი ნაწილი აიხსნება მონაწილეთა სოფლების მდებარეობით. ზღვის დონიდან სიმაღლე მნიშვნელოვნად ხსნიდა მცენარეთა სახეობების ორდინაციას, მაგრამ ვერ ხსნიდა სხვაობებს ამ მცენარეთა გამოყენებაში. მონაწილეთა სქესს არ ქონდა მნიშვნელობა არც მცენარეთა ორდინაციისთვის, არც მათი გამოყენების კატეგორიათა ორდინაციისთვის.

Correspondence

რაინერ ვ. ბუსმანი ¹, ნარელ ი. პანიაგუა სამბრანა², შალვა სიხარულიძე¹, ზაალ კიკვიძე³, დავით ქიქოძე¹, დავით ჭელიძე¹, ქეთევან ბაცაცაშვილი¹, რობი ე ჰარტი⁴

¹ბოტანიკის ინსტიტუტი და ბაკურიანის ალპიური ბოტანიკური ბაღი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბოტანიკური ქუჩა 1, 0105 თბილისი
²Herbario Nacional de Bolivia, Instituto de Ecología - UMSA, Campus Universitario, Cota Cota Calle 27, La Paz, Bolivia

³ეთნობიოლოგიის და სოციო-ეკოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. 5, 0162 თბილისი

⁴William L Brown Center, Missouri Botanical Garden, PO Box 299, St. Louis, Missouri 63166-0299, USA

*საკონტაქტო ავტორი, ელ.ფოსტა: rainer.bussmann@iliauni.edu.ge

Ethnobotany Research & Applications
20:52 (2020)

გასაღები სიტყვები: კავკასია, ეთნობოტანიკა, მცენარეთა გამოყენება, ტრადიციული ცოდნა, პოსტსაბჭოთა განვითარება

შესავალი

კავკასიის მსგავსი მითოლოგიური საბურველით გარსემორტყმული რეგიონი ევროპაში ცოტაა და, ასევე, ცოტაა რეგიონი, რომელიც ამავდროულად ინვედეს ბოტანიკოსებისა და ანთროპოლოგების დიდ ინტერესს. კავკასიის განსაზღვრა ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელია მისი ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების გამო.

დიდი და მცირე კავკასიონის ქედები ქმნიან ბიოლოგიურად ერთ-ერთ ყველაზე მრავალფეროვან ცენტრს, სადაც ადამიანებმა ისტორიაში პირველად დაიწყეს ბევრი მცენარის მოხმარება და სადაც მინათმომქმედების ისტორია სულ ცოტა 8,000 წელს ითვლის. ბერძენი ისტორიკოსი ჩ.წ.-მდე V საუკუნეში წერდა, რომ ბევრი და ყველანაირი მოდგმის ხალხი ცხოვრობს კავკასიაში, ხოლო სტრაბონი ჩ.წ. პირველ საუკუნეში იტყობინებოდა 70 “ტომის” არსებობას ამ რეგიონში, რომელთაგან თითოეულს თავისი ენა ჰქონდა. რომელიც მემატეიანე პლინიუს უფროსი წერდა, რომ რომაელებს 130 თარჯიმანი სჭირდებოდათ კავკასიაში საქმეების სანარმოებლად. სომხური და ქართველური (რომელსაც ქართულიც ეკუთვნის) ენების მსოფლიოში უძველეს ოჯახებს ეკუთვნის (Bussmann 2017). ეს დაუჭერებელი მრავალფეროვნება და რეგიონის მნიშვნელობა, მაგალითად, როგორც აბრეშუმის გზის ერთ-ერთი მონაკვეთისა, აისახება მცენარეთა გამოყენებაზეც და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მცენარე მთელს კავკასიაში გამოიყენება, მის სხვადასხვა რეგიონში განვითარდა მცენარეული რესურსების განსხვავებული გამოყენების მრავალგვარი ხერხი ბევრი სხვადასხვა მიზნით, საკვები იქნება ეს, სამკურნალო, ნაკეთობებისთვის თუ სხვა. ეკოსისტემების დიდი მრავალფეროვნება, რასაც ეფუძნება უზარმაზარი ბოტანიკური მრავალფეროვნება, მცენარეთა გამოყენების უძველესი დროიდან მომდინარე პრაქტიკა, აქ მოსახლეთა გასაოცარი სტუმართმოყვარეობა კავკასიას აქცევს ეთნობოტანიკოსთა საოცნებო მხარედ. მიუხედავად იმისა, რომ

ეთნობოტანიკური კვლევა ამ მხარისათვის უცხო არაა, 1940 წლის შემდეგ გამოქვეყნებული ლიტერატურა ძალიან ცოტაა (Kordzakhia and Javakhishvili 1961).

გურია და რაჭა საქართველოს ისტორიული მხარეებია, განლაგებული დიდი კავკასიონის დასავლეთი ნაწილის სამხრეთი მაკრო-ფერდობებსა (რაჭა) და მცირე კავკასიონის დასავლეთში შავი ზღვისკენ (გურია) (Kordzakhia and Javakhishvili 1961; (ნახ. 1). რაჭისა და განსაკუთრებით გურიის ჰავა შავი ზღვიდან მონაბერი დასავლეთის ნოტიო ქარების გავლენით ყალიბდება. გურიის ბარი წარმოადგენს კოლხეთის დაბლობის ნაწილს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთი გურია მცირე კავკასიონის კალთებზე შეფენილი. რაჭისა და გურიის მცენარეულობა მოიცავს ბარისა და მთის ტყეებს, სუბალპურ, ალპურ, სუბნივალურ და ნივალურ ზონებს და ხასიათდება მცენარეულობის ვერტიკალური სარტყლიანობის დასავლეთ კავკასიური, ანუ კოლხური ტიპით (Gagnidze R & Davitadze 2000; Zazanashvili *et al.* 1999). მოსახლეობის უმრავლესობა მეთყველებს ქართულად, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენების ოჯახს მიეკუთვნება და, ასევე, ადგილობრივ კილოკავებზე — გურულზე და რაჭულზე (Vhikobava 1986; Beridze *et al.* 2003).

ბოლო წლებში, თანამედროვე ეთნობოტანიკური ცოდნა კავკასიის რეგიონისა დიდად გაიზარდა (Bussmann 2017). დღესდღეობით, შედარებით ეთნობოტანიკურ კვლევას დაახლოებით ქვეყნის ნახევარი აქვს მოცული, მათ შორისაა სვანეთი და ლეჩხუმი (Bussmann *et al.* 2014, 2016a), სამცხე-ჯავახეთი (Bussmann *et al.* 2017a,b), ასევე მაღალმთიანი რეგიონები, როგორცაა თუშ-ფშავ-ხევსურეთი (Bussmann *et al.* 2016b, 2017c), არსებობს კვლევის ამ ნაწილის სინთეზური მიმოხილვაც (Bussmann *et al.* 2016c).

ამ შრომაში ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოს მცირედ შესწავლილ რეგიონებში მცენარეების ტრადიციული გამოყენების აღწერას, რისთვისაც შევარჩიეთ გურია და რაჭა. ჩვენი ჰიპოთეზა შემდეგი იყო: (1) მცენარეების ცოდნა მეტია ზღვის დონიდან მაღლა მდებარე, იზოლირებულ სოფლებში, (2) ბალ-ბოსტნების გაშენებას უფრო ზღვის დონიდან დაბალ სიმაღლეებზე მისდევნ.



ნახ. 1. კვლევის რეგიონის რუკა

მასალა და მეთოდები

ეთნობოტანიკური გამოკითხვა

საველე სამუშაოები ჩატარდა 2014 (ქვემო რაჭიდან ნაწილობრივ ლეჩხუმის მხრის) და 2016 წლების ივლის-აგვისტოში. ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარებით გამოკითხა 32 მონაწილე (10 ქალი და 22 კაცი), წინასწარი სიტყვიერი ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ. მონაწილეები შეირჩეოდა ჯაჭვური მეთოდით და ვცდილობდით დაგვეცვა ბალანსი ასაკობრივ ჯგუფებსა (25-96 წ.) და სქესს შორის. მაგრამ მონაწილეთა უმრავლესობა მაინც 50 წელზე უხვეს იყო, რადგან საქართველოს მივარდნილ სოფლებში ძალიან ცოტაა ახალგაზრდები. ყველა გამოკითხვა ჩატარდა მონაწილის სახლსა და ბოსტანში, ქართულად და ადგილობრივ დიალექტებზე. ბაღ-ბოსტნის მცენარეები გამოიყენებოდა საუბრის დასაწყისად, ველური მცენარეების სახელები კი თავისუფალი ჩანერით აღირიცხებოდა. ტყის (ანუ ველური) და ბაღ-ბოსტნის (ანუ შინ მოყვანილი) მცენარეები ირკვეოდა ადგილობრივ, არსებული ლიტერატურის მიხედვით (Flora of Georgia Committee 1971-2011; Makashvili 1952-1953), ნიმუშები გროვდებოდა და ინახება საქართველოს ეროვნულ ჰერბარიუმში (TBI). ყველა სახეობის ნომენკლატურა მისდევს

Tropicos (Angiosperm Phylogeny Group 2009). სოკოების ნომენკლატურა მისდევს MycoBank-ს (<http://www.mycobank.org>). მცენარეთა ქართული დასახელებების სტანდარტად ვიყენებდით მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონს (Makashvili 1991).

სტატისტიკური ანალიზი

რეგიონებს შორის თანხვედრა — მცენარეები და მათი გამოყენება ვენის (Venn) ანუ იოლერის (Euler) დიაგრამები გამოხატავენ მცენარეებსა და მათი გამოყენების კატეგორიებს სხვადასხვა კუთხეებსა და სოფლებში. წრებით და მათი თანაკვეთებით შემოხაზული ფართობი დაახლოებით უჩვენებს გამოკითხულთა რაოდენობას, სტრესის სიდიდე მიუთითებს რამდენად უახლოვდება ეს გამოთვლები ჩანერით მიღებულ შედეგებით სიდიდეებს (Wilkinson 2011).

მონაწილეთა დაშორება

მცენარეები და მათი გამოყენება მონაწილეთა დაშორებას ვითვლიდით არამეტრული მრავალგანზომილებიანი მასშტაბირებით ორდინაციის ორ, მცენარეებისა და მათი გამოყენების, მატრიცებში. პირველ მატრიცაში სვეტები

წარმოადგენენ მცენარეებს, მეორეში კი ამ მცენარეების გამოყენების კატეგორიებს. მიღებულ ორდინაცია ერთმანეთთან ახლოს განალაგებს იმ მონაწილეებს, რომლებიც ერთსა და იმავე მცენარეებს და მათი გამოყენების მსგავს კატეგორიებს ასახელებენ. შემდეგ, ორდინაციის ამ სივრცეებს მოვარგებდით სხვადასხვა გარემო ვექტორებს (სოფლის სახელი, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან) და ფაქტორებს (სქესი, ასაკობრივი ჯგუფი), რომ გვენახა, რომელი ვექტორი ან ფაქტორი ახსნის კარგად მონაწილეთა განლაგებას ორდინაციულ სივრცეებში. დაშორებებს ვითვლიდით ბრეი-კურტისის ინდექსით, ხოლო მორგების მნიშვნელოვნებას ვითვლიდით რანდომიზაციის (999-ჯერ) ტესტით. ანალიზისთვის ვიყენებდით R პროგრამის პაკეტ Vegan-ს (Oksanen et al. 2015).

მონაწილეთა კონსენსუსის ფაქტორი
მონაწილეთა კონსენსუსი (IFC) მოცემული გამოყენების კატეგორიისთვის (UC) გამოითვლებოდა როგორც გამოყენების ჩანაწერების რაოდენობას (UR) (ერთი მცენარის გარკვეული მიზნით გამოყენება) გამოკლებული ტაქსონთა რაოდენობა (t) და გაყოფილი გამოყენების ჩანაწერთა რაოდენობას გამოკლებულ 1-ზე

$$(N_{UR} - N_t) / (N_{UR} - 1)$$

სახეობები რანჟირდებოდა სამი ინდექსის მიხედვით: (i) კულტურული მნიშვნელოვნება (CI): მონაწილეთა რიცხვი, რომლების მოცემული სახეობას ახსენებდა გამოყენების მოცემულ კატეგორიაში, გაყოფილი მონაწილეთა რიცხვზე, რომლებიც ამ სახეობას ახსენებდნენ. შემდეგია გამოყენების მრავალფეროვნება (UD), ესაა შანონის ინდექსი გამოთვლილი გამოყენების კატეგორიებისთვის. ამ გამოთვლებისთვისაც ვიყენებდით R პროგრამის პაკეტ Vegan-ს (Oksanen et al. 2015). ვითვლიდით ასევე გამოყენების სიდიდეს (UV): ესაა მოცემული სახეობის ჩანაწერთა ჯამი გაყოფილი გამოკითხულ მონაწილეთა საერთო რაოდენობაზე რეგიონში .

შედეგები

აღრიცხული იქნა 338 მცენარის სახეობა, რომლებიც 252 გვარსა და 101 ოჯახს ეკუთვნიან და ოთხი მცენარე, რომელთა სახეობამდე გარკვევა ვერ მოხერხდა, ასევე 20 სოკოს სახეობა და კიდევ 15 სოკო, რომელთა სახეობამდე გარკვევა ვერ მოხერხდა,

მთლიანობაში სულ ცოტა 16 გვარის და 16 ოჯახის სოკო. ამათგან, 318 სახეობა გარკვეული დანიშნულებით გამოიყენებოდა, 20 სახეობა კი, რომლებიც მონაწილეებმა გამოიციენეს და ადგილობრივი სახელი ჩაგვანერინეს, უკვე აღარ გამოიყენებოდა. გამოყენებული სახეობებიდან, 223 სახეობა ველურად გროვდებოდა, 110 ბალ-ბოსტნებში მოყავდათ, ხოლო 56 გროვდებოდა როგორც ველურ ბუნებაში, ისე ბალ-ბოსტნებში (ცხრილი 1). გამოყენები კატეგორიებში ყველაზე ხშირი იყო საკვებად (194 სახეობა, 94 ბალში და 61 ტყისა და საძოვრების, 38 ორივეგან – ბუნებაშიც და ბალ-ბოსტნებშიც) და სამკურნალოდ (122 სახეობა, 20 ბალ-ბოსტანში, 79 ტყესა და საძოვრებზე, 23 კი ორივეგან).

სახეობებისა და მათი გამოყენების კატეგორიების უმრავლესობა მთელს საკვლევ რეგიონში გვხვდებოდა, განსხვავებული სახეობები და მათი გამოყენების უნიკალური ჩანაწერები შეგროვდა ბახმარო-ბაისურასა და ქვედა თლუღის მიდამოებში – ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე პუნქტებში (ცხრილი 2). გურიისა და რაჭის ყველა რეგიონში მცენარეთა და მათი გამოყენების თანხვედრა მაღალი იყო (ნახ. 2).

ძალიან დიდი იყო მცენარეების სახეობებისა და მათი გამოყენების თანხვედრა თავად პროვინციებს შორის – გურიისა (ნახ. 3A-C) და რაჭის (ნახ. 4A) შიგნით. მიუხედავად ამისა, მონაწილეთა პასუხები გარკვეულწილად დამოკიდებული იყო გეოგრაფიულ მდებარეობაზე. გურიაში, მონაწილეთა სოფლის სიმაღლე ზღვის დონიდან (ნახ. 3B, $r^2 = 0.54$, $p = 0.001$) და სოფლების იდენტობა (თუ გურიის ან რაჭის რა ნაწილში მდებარეობს) (ნახ. 3C, $r^2 = 0.32$, $p = 0.001$) მნიშვნელოვნად ხსნიდა მცენარეთა ორდინაციას. სიმაღლე ზღვის დონიდან არ იყო მნიშვნელოვანი ამხსნელი ფაქტორი გამოყენების კატეგორიების შემთხვევაში (ნახ. 3E, $r^2 = 0.22$, $p = 0.04$), მაგრამ მონაწილეთა სქესი მნიშვნელოვანი იყო (ნახ. 3F, $r^2 = 0.28$, $p = 0.003$). რაჭაში მონაწილეების პასუხები ერთმანეთთან ახლო ჯგუფდებოდა და, მიუხედავად სხვადასხვა რაიონიდან (RA1, RA2, RA3) მიღებული მსგავსი პასუხებისა, მდებარეობა და სიმაღლე ზღვის დონიდან მნიშვნელოვნად ხსნიდნენ მცენარეთა სახეობების ორდინაციას (ნახ. 4B, $r^2 = 0.59$, $p = 0.01$; $r^2 = 0.66$, $p = 0.007$). გამოყენების კატეგორიები კი ბევრად უფრო ცვალებადი იყო და არ იხსნებოდა მნიშვნელოვნად რომელიმე გარემოს ან დემოგრაფიული ფაქტორით (ნახ. 4C,D).

ცხრილი 1 — გურიასა და რაჭაში გამოყენებული მცენარეები; (გუ) = მხოლოდ გურიაში (რა) = მხოლოდ რაჭა-ლეცხუმში					
ლათინური	ქართული	ადგილობრივი სახელი	გამოყენება	გამოყენებული ნაწილი	საიდან
Actinidiaceae					
<i>Actinidia callosa</i> Lindl.	კივი		საკვები	ნაყოფი	ტყე
Adoxaceae					
<i>Sambucus ebulus</i> L.	ანწლი		საკვები, სამკურნალო, საქონლის საკვები	ნაყოფი, ღერო, ფესვი	ტყე
<i>Sambucus nigra</i> L.	დიდგულა	თხიფსელა	მშენებლობა, საკვები, ნაკეთობები	ნაყოფი, ღერო	ტყე
<i>Viburnum lantana</i> L.	უზანი	თურსა	მშენებლობა, კულტურული	ღერო	ტყე
<i>Viburnum opulus</i> L.	ძახველი	ჯახველი, ჯახხველა		ნაყოფი, ღერო	ტყე
Agaricaceae					
<i>Agaricus arvensis</i> Schaeff. (რა)	ქამა		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
<i>Agaricus campestris</i> L. (რა)	მინდვრის სოკო		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
<i>Lycoperdon</i> sp. (რა)	ფშუკურა	მჩუანა	სამკურნალო	ნაყოფსხეული	ტყე
Aloaceae					
<i>Aloe barbadensis</i> Mill. (გუ)	ალოე		სამკურნალო	ფოთოლი	ბაღ-ბოსტ.
Amanitaceae					
<i>Amanita caesarea</i> (Scop.) Pers. (რა)	ნიყვი		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Amaranthaceae					
<i>Amaranthus retroflexus</i> L.	ჭიჭლაყა	ჭიჭლაყა, რუხვეფერია, წითელი ფხალი, ლიხანა ფხალი	საკვები, დეკორატიული	ფოთოლი, მთელი მცენარე	ტყე, ბაღ-ბოსტ.
<i>Beta vulgaris</i> L.	ჭარხალი		საკვები	ფოთოლი, ძირხვენა	ბაღ-ბოსტ.
<i>Beta vulgaris</i> L. ssp. <i>cicla</i> (L.) Moq.	ჭარხალი	წითელი ფხალი	საკვები	ფოთოლი	ბაღ-ბოსტ.
<i>Chenopodium album</i> L.	ნაცარქათამა	ქათანაცარა	საკვები	ფოთოლი	ტყე
Amaryllidaceae					
<i>Allium ascalonicum</i> L. (გუ)	სოხვი		საკვები	ყლორტი	ბაღ-ბოსტ.
<i>Allium cepa</i> L.	ხახვი		საკვები	ფოთოლი, ძირხვენა	ბაღ-ბოსტ.
<i>Allium fistulosum</i> L.	ჭლაკვი	სოხვი	საკვები	ფოთოლი, ძირხვენა	ბაღ-ბოსტ.

<i>Allium ursinum</i> L. (გუ)	ღანძილი	ოლენა	საკვები	ყლორტი	ტყე
<i>Allium victorialis</i> L.	მთის ღანძილი	ოლენა, ტყინიორა	საკვები	ყლორტი	ტყე
<i>Galanthus</i> sp.	თეთრყვავილა	მთის შროშანი, საპყორინე	საკვები, სამკურნალო	ძირხვენა, ფოთოლი	ტყე
<i>Leucojum aestivum</i> L. (გუ)	ცხენისკბილა		კულტურული	ფოთოლი, ფესვი	ტყე
Amaryllidaceae sp. 1 (გუ)		პრასი, ხახვი	საკვები	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Amaryllidaceae sp. 2 (გუ)		რუსულა ნიორი	საკვები	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Annonaceae					
<i>Annona cherimola</i> Mill. (გუ)	ანონა		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Apiaceae					
<i>Agasyllis latifolia</i> (Bieb.) Boiss. (რა)	დუცი		საკვები	ფოთოლი	ტყე
<i>Anethum graveolens</i> L.	კამა	რუსული კამა?	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Anthriscus cerefolium</i> (L.) Hoffm. (გუ)	ჭყიმა მხალი	ჭყიმაფხალი	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Anthriscus sylvestris</i> L. (რა)	ჭყიმი	მანარა	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Apium graveolens</i> L.	ნიახური	დიდინიახური	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Astrantia maxima</i> Pall.	ვარსკვლავა	ეგირი, თესიგირ, ინგირი	სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Chaerophyllum aureum</i> L.	ყინტორა	ძენწკლია	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Coriandrum sativum</i> L.	ქინძი		საკვები	ფოთოლი, ყლორტი, თესლი	ბალ-ბოსტ.
<i>Daucus carota</i> L. (გუ)	ფერისცვალა	სიქილონჯა	საკვები	მთელი მცენარე	ტყე
<i>Daucus carota</i> L. ssp. <i>sativus</i>	სტაფილო		საკვები	ძირხვენა	ბალ-ბოსტ.
<i>Eryngium caeruleum</i> M.Bieb.	ლურჯი ნარი	ლურჯეკალა	სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Foeniculum vulgare</i> Mill.	დიდი კამა	ცერეცო	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Heracleum</i> sp.	დიყი	მდიყი, მდუსი, ჩილახარცილა	საკვები, ვეტერინ.	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Hippomarathrum microcarpum</i> Petrov. (რა)	ქარქვეტა		სამკურნალო	ნაყოფი	ტყე
<i>Petroselinum crispum</i> (Mill.) Fuss.	ოხრახუმი	მაკიდო	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Pimpinella anisum</i> L. (რა)	ანისული		სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Sanicula europea</i> L. (რა)	ქრისტესბეჭედა		ალარ გამოიყენება	ალარ გამოიყენება	ტყე
Apiaceae sp. (რა)	კამა, ქინძი, ნიახური, ოხრახუმი	ინგირი, ცერეცო, მაკიდო	საკვები, სამკურნალო	მთელი მცენარე	ტყე
<i>Xanthogalum purpurascens</i> Avé-Lall. (რა)	ჯოჭი	ქურქუნდელი	საკვები	ღერო	ტყე

Aquifoliaceae					
<i>Ilex colchica</i> Pojarjk.	ბაძგი	ჭყორი, ბაძგნარი, წყაბაძა	მშენებლ., ნაკეთობები, ცხოველის საკვები	ღერო, ფოთოლი	ტყე
Araceae					
<i>Arum</i> sp. (რა)	ნიუკა	დაჭრილა, ქალაკოდა	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
Araliaceae					
<i>Hedera colchica</i> (K. Koch) K. Koch	სურო		ცხოველი საკვები, სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Araucariaceae					
<i>Araucaria araucana</i> (Molina) K. Koch (გუ)	არაუკარია		დეკორატიული	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Aristolochiaceae					
<i>Aristolochia</i> sp.	კატაყვერა	ძირმწარა	სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
Aspleniaceae					
<i>Asplenium trichomanes</i> L. (რა)	მამასწარა		სამკურნალო	ფოტოლი	ტყე
Asteraceae					
<i>Achillea millefolium</i> L.	ფარსმანდუკი	კრავისკუდა, მელაკუდა	სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე, ბალ-ბოსტ.
<i>Ambrosia artemisiifolia</i> L.	ამბროზია		ცხოველის საკვები	ღერო, მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ., საძოვარი
<i>Arctium lappa</i> L. (გუ)	ოროვანდი		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
<i>Artemisia absinthium</i> L.	ავშანი		სამკურნალო, ვეტერინ.	ფოთოლი	ტყე
<i>Artemisia dracunculus</i> L.	ტარხუნა		საკვები, სამკურნალო	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
<i>Artemisia vulgaris</i> L. (გუ)	ჭორთკუდა		აღარ გამოიყენება	აღარ გამოიყენება	ტყე
<i>Bidens tripartida</i> L. (გუ)	ორკბილა	ხოზიკა	სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
<i>Calendula officinalis</i> L.	გულყვიტელა	ნარგიზელა	სამკურნალო	ყვავილი	ბალ-ბოსტ.
<i>Centaurea</i> sp. (რა)	ხახვისთავა		აღარ გამოიყენება	აღარ გამოიყენება	ტყე
<i>Cichorium intybus</i> L.	ვარდკაჭაჭა	ხაპრაი, ულენელა, ულენავა	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი, ფესვი	ტყე
<i>Cirsium incanum</i> (S.G. Gmel.) Fisch. ex M. Bieb	თეთრი ნარი	გლიხორხა	სამკურნალო, ნაკეთობა	ბოჭკო, ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Cynara cardunculus</i> L. (გუ)	არტიშოკი		საკვები	ყვავილი	ბალ-ბოსტ.
<i>Echinacea</i> sp. (გუ)	ეჟინაცეა		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
<i>Helianthus annuus</i> L. (გუ)	მზესუმზირა		საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
<i>Helianthus tuberosus</i> L. (გუ)	ხმატურა		საკვები	ძირხვეწა	ტყე
<i>Helichrysum</i> sp.	ნეგო, უკვდავა	ბებრიძონძა	სამკურნალო	ფოთოლი	ტყე

<i>Inula helenium</i> L. (რა)	კულმუხო		სამკურნალო	ფოთოლი, ფესვი	ტყე
<i>Lactuca sativa</i> L.	სალათა	სალათის ფოთოლი	საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
<i>Lactuca serriola</i> L. (გუ)	ნარკოკობა	ჭინჭახა	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Matricaria chamomilla</i> L. (რა)	გვირილა		სამკურნალო	ყვავილი	ტყე, ბალ- ბოსტ.
<i>Petasites vulgaris</i> Desf.	ბუერა	ბურღვა, ბარამბო, გვირილა, დიმელა	ცხოველის საკვები, საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Pyrethrum macrophyllum</i> Willd. (გუ)	გვირილა		ცხოველის საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Senecio platyphyllus</i> DC. (გუ)	ხარისშუბლა	ხბოსშუბლა, კიტრა, ბულღავა	სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Senecio</i> sp. (გუ)	ჰუერა		შხამიანი	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Serratula quinquefolia</i> Bieb. ex Willd. (რა)	ირმისმხალა	საღვერავი	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Silybum marianum</i> (L.) Gaertn. (გუ)	ბაყაყურა		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე, ბალ- ბოსტ.
<i>Sonchus asper</i> (L.) Hill.	ღიჭა	ღენჭო	ცხოველის საკვები, საკვები	ნორჩი ფოთოლი და ყლორტი, ფოთოლი	ტყე, ბალ- ბოსტ.
<i>Stenactis annua</i> (L.) Cass. ex Less. (რა)	ცხენისკუდა		აღარ გამოიყენება	აღარ გამოიყენება	ტყე
<i>Stevia</i> sp. (გუ)	სტევია		საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Tagetes patula</i> L.	ხავერდა	იმერული ზაფრანა, ყვითელი ყვავილი	საკვები	ყვავილი	ბალ-ბოსტ.
<i>Taraxacum officinale</i> Wigg. (გუ)	ბურბუშელა	ბაბუნვერა	საკვები	ფოთოლი	ტყე
<i>Tussilago farfara</i> L.	ვირისტერფა	ჯორისტერფა	სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
Berberidaceae					
<i>Berberis vulgaris</i> L. (რა)	კონახური	მამჟაველა, მჟაუნა	საკვები	ნაყოფი, ფოთოლი	ტყე
Betulaceae					
<i>Alnus barbata</i> C.A. Mey.	მურყანი	თხელი, თხემლა, ხმელა, რთხმელა	მშენებლ., სამკურნალო, ნაკეთობები, ვეტერინ.	ნაყოფი, ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Alnus incana</i> (L.) Moench	ნაცარა მურყანი	რთხმელა	მშენებ., შეშა	ღერო	ტყე
<i>Betula litwinowii</i> Doluch.	არყი		მშენებ., შეშა, ნაკეთობები	ღერო, ტოტები	ტყე
<i>Betula medwediewii</i> Regel (გუ)	არყი	არყიფერა	ნაკეთობები	ღერო, ტოტები	ტყე
<i>Betula pendula</i> Roth (გუ)	არყი		ნაკეთობები	ღერო	ტყე
<i>Carpinus caucasica</i> Grossh.	რცხილა	ცხემლა, რცხმელა	ცხოველის საკვები, მშენებლ., ნაკეთობები, შესა	ფოთოლი, ღერო	ტყე

<i>Corylus avellana</i> L. / <i>C. pontica</i> K. Koch.	თხილი	კახა, ნემსა	მშენებლ., ნაკეთობები, საკვები	ღერო, ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Bignoniaceae					
<i>Campsis</i> sp. (გუ)	კამპსისი	დიდგულა, ლობიოს ხე, ტეკომარია,	მშენებლ., ორნამენტ.	ღერო, მთელი მცენარე	ტყე, ბალ-ბოსტ.
Boletaceae					
<i>Boletus edulis</i> Bull. (რა)	დათვისოკო		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Boraginaceae					
<i>Myosotis</i> sp. (რა)	კესანე	თიკნისყურა, კურდღლისსაკნატუნო	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე, ბალ-ბოსტ.
<i>Symphytum caucasicum</i> M. Bieb. (გუ)	ლაშქარა	შალდაყი	სამკურნალო	ფესვი	ტყე, ბალ-ბოსტ.
<i>Trachystemon orientalis</i> (L.) G. Don (რა)	ანჩხლა	ანჩხლი	ნაკეთობები	ფოთოლი	ტყე
Brassicaceae					
<i>Armoracia rusticana</i> G. Gaertn., B. Mey. & Scherb. (გუ)	პირშუშხა	ხრენი	საკვები	ძირხვენა	ბალ-ბოსტ.
<i>Brassica oleracea</i> L.	კომბოსტო	კეჟერა, კეჟერა ფხალი, შავი ფხალი	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Brassica rapa</i> var. <i>rapa</i> L. (გუ)	თაღგამურა		საკვები	ძირხვენა	ბალ-ბოსტ.
<i>Capsella bursa-pastoris</i> L. (რა)	წინმატურა	ხარიკბილა, ხარიკრიჭა, მარწყვაბალახა	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Dentaria</i> sp. (რა)	ტყის ბოლოკა		აღარ გამოიყენება	აღარ გამოიყენება	ტყე
<i>Lepidium sativum</i> L. (გუ)	წინმატი		საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Raphanus sativus</i> L. var. <i>major</i>	ბოლოკი	შავი ბოლოკი	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ძირხვენა	ტყე, ბალ-ბოსტ.
<i>Raphanus sativus</i> L. var. <i>niger</i>	შავი ბოლოკი		სამკურნალო	ძირხვენა	ბალ-ბოსტ.
Buxaceae					
<i>Buxus colchica</i> Pojark. (გუ)	ბზა		მშენებლ.	ღერო	ტყე
Campanulaceae					
<i>Campanula glomerata</i> L. (რა)	დილხამი		საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Campanula lactiflora</i> Bieb.	კენკეშა	დონდოლა, მუყუდო, საფურცქვენელა	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Campanula latifolia</i> L.	ალოშა	დონდოლა	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Campanula rapunculoides</i> L. (რა)	მაჩიტა	ჩიტითავა	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე

Cannabaceae					
<i>Cannabis sativa</i> L. (გუ)	კანაფი		საკვები, სამკურნალო, ნაკეთობები	ფოთოლი, ყვავილი, თესლი, ღერო	ბალ-ბოსტ.
<i>Humulus lupulus</i> L.	სვია		საკვები, სამკურნალო	ნაყოფი, ფოთოლი, ყლორტი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Cantharellaceae					
<i>Cantharellus cibarius</i> Fr. (რა)	მიქლიო	მიქეალ, მიქლივი	საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Caprifoliaceae					
<i>Lonicera</i> sp. (გუ)	ცხრატყავა	თხიფსელა, თხიმსელა	მშენებლ.	ღერო	ტყე
Caryophyllaceae					
<i>Silene lacera</i> Steven (რა)	ქვიშამხალი		საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Silene sibirica</i> (L.) Pers. (გუ)		ოლენა	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
Cephalotaxaceae					
<i>Cephalotaxus harringtonia</i> (Knight ex J. Forbes) K. Koch (გუ)		ცეფაპოტაქსუსი	დეკორატიული	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Colchicaceae					
<i>Colchicum</i> sp. (გუ)	სათოვლია	ენძელა	სამკურნალო	ფესვი	ტყე
Commelinaceae					
<i>Tradescantia</i> sp. (გუ)	ჭორტანა	უკვდავა	სამკურნალო	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Convolvulaceae					
<i>Convolvulus arvensis</i> L. (რა)	ხვართელა		ცხოველთა საკვები, საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ბალი
Cornaceae					
<i>Cornus mas</i> L.	შინდი	შვინდი	საკვები, ნაკეთობები	ნაყოფი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტ.
<i>Swida australis</i> (C.A. Mey.) Pojark ex Grossh.	შინდანლა		საკვები, ნაკეთობები	ტოტები, ფოთოლი, ფესვი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Crassulaceae					
<i>Crassula</i> sp. (გუ)	მსუქანა		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
<i>Sempervivum caucasicum</i> Rupr. ex Boiss. (გუ)	კლდისვაშლა		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Cucurbitaceae					
<i>Cucumis sativus</i> L.	კიტრი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.

<i>Cucurbita pepo</i> L.	გოგრა	ბამბისხაპი, კომიეხაპი, ქესტანა, ყაბაყი, ხაპერა, ხაპი; (ჭიშები: თათრულიკვახი, მწარეხაპა, მწარეხაპი, უკანოკვახი, ხაპერა, ხოკერაკვახი).	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
<i>Cucurbita pepo</i> L. var. <i>giramontia</i> (რა)	ყაბაყი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
<i>Lagenaria siceraria</i> (Molina) Standl. (გუ)	ლაგენარია	მწარეკვახი	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Cupressaceae					
<i>Juniperus depressa</i> Raf. ex Mc Murtrie (რა)	ღვია	ღრუკაკალი	სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
Dioscoreaceae					
<i>Tamus communis</i> L.	ძაღლის სატაცური	მიხელთა	აღარ გამოიყენება	აღარ გამოიყენება	ტყე
Dipsacaceae					
<i>Cephalaria gigantea</i> (Ledeb.) Bobrov (რა)	სკიპალო	უროტეხა, გოგშო	საკვები, სამკურნალო, ნაკეთობები	ფოთოლი, ყლორტი, ღერო	ტყე
Dryopteridaceae					
<i>Dryopteris filix-mas</i> (L.) Schott. (გუ)	ტაბელა		დეკორატიული	მთელი მცენარე	ტყე, ბალ-ბოსტ.
<i>Dryopteris oreades</i> Fomin (გუ)	ტაბელა		დეკორატიული	მთელი მცენარე	ტყე, ბალ-ბოსტ.
Ebenaceae					
<i>Diospyros lotus</i> L.	ხურმა	ცუნახუმრა(ვარიანტები: პატარა ხაშია ხუმრა, ხაშიახუმრა, ხაშიახუმრა, კარალიოკი)	საკვები, სამკურნალო	ნაყოფი, ყვავილი, ტოტები,ფესვი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Eleagnaceae					
<i>Hippophaë rhamnoides</i> L. (რა)	ქაცვი	ტყრინი	აღარ გამოიყენება	აღარ გამოიყენება	ტყე
Equisetaceae					
<i>Equisetum arvense</i> L.	შვიტა	დათვისფანჩარა, (ვარიანტები: დათვიბალახა, ვირიძუა, ნაძვაბალახი)	სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე

Ericaceae					
<i>Vaccinium arctostaphylos</i> L.	მაღალი მოცვი	ლუდი მოცვი, მოცვი, მიცვიმაღალი	საკვები, სამკურნალო	ნაყოფი, ფოთოლი	ტყე
<i>Vaccinium myrtillus</i> L.	მოცვი	მთის მოცვი, მოდგინარი	საკვები, სამკურნალო	ნაყოფი, ფოთოლი	ტყე
Euphorbiaceae					
<i>Aleurites moluccanus</i> (L.) Willd. (გუ)	ლუმბანგი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
<i>Euphorbia macroceras</i> Fisch. & C.A. Mey. (გუ)	რძიანა	რძიარძია	სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
Fabaceae					
<i>Cicer arietinum</i> L. (გუ)	მუხუდო		საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
<i>Galega orientalis</i> Lam. (გუ)	ხბოშუბლა		სამკურნალო	მთელი მცენარე	ტყე
<i>Glycine max</i> (L.) Merr.	სოია	იაპონია	საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
<i>Lathyrus roseus</i> Steven (რა)	არჯაკელი	ზერჩო	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Phaseolus sativus</i> L.	ლობიო	გრძელილობიო; ვარიანტები: ბათუმურა, დაბალილობიო, კუტილობიო, სარისლობიო	საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
<i>Pisum sativum</i> L. (გუ)	ბარდა		საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
<i>Psoralea acaulis</i> Steven ex M. Bieb. (გუ)	დათვიმრანყვა	ჭიგლიგე	ვეტერინ.	ფესვი	ტყე
<i>Robinia pseudoacacia</i> L.	რობინია	აკაცია, ცრუაკაცია	მშენებლ. ცხოველთა საკვები, საკვები, შეშა, ნაკეთობები	ქერქი, ღერო, ნორჩი ყლორტი	ტყე, ბალ- ბოსტ.
<i>Trifolium</i> sp. (გუ)	სამყურა		საკვები	ფოთოლი	ტყე
<i>Trigonella caerulea</i> (L.) Ser.	ულუმბო	შამბრიკა, უცხო სუნელი	საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
<i>Vicia faba</i> L.	ცერცვი		საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
<i>Vigna angularis</i> (Willd.) Ohwi & H. Ohashi (გუ)	აზუკი	საკადრისა	საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Fagaceae					
<i>Castanea sativa</i> Mill.	ნაბლი		მშენებლ., შეშა, ნაკეთობები, საკვები	ღერო, ნაყოფი	ტყე, ბალ- ბოსტ.
<i>Fagus orientalis</i> Lipsky	წიფელი		მშენებლ., შეშა, ნაკეთობები, საკვები	ღერო, ნაყოფი	ტყე
<i>Quercus iberica</i> Steven ex M. Bieb. (რა)	მუხა		მშენებლ., შეშა, ნაკეთობები	ღერო	ტყე
<i>Quercus pontica</i> C. Koch & K. Koch	პონტოს მუხა		მშენებლ., შეშა, ნაკეთობები	ღერო	ტყე

<i>Quercus</i> sp.	მუხა	ტოტა	მშენებლ., შეშა	ღერო	ტყე
Fistulinaceae					
<i>Fistulina hepatica</i> (Schaeff.) With. (რა)	ხის სოკო	გვიძელა	საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
FUNGI					
<i>Alnus barbata</i> fungus (გუ)	მურყნის სოკო		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 33 (რა)	სოკო 33		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 34 (რა)	სოკო 34		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 35 (რა)	სოკო 35		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 36 (რა)	სოკო 36		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 38 (რა)	სოკო 38		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 41 (რა)	სოკო 41		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 43 (რა)	სოკო 43		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 44 (რა)	სოკო 44		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 45 (რა)	სოკო 45		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 46 (რა)	სოკო 46		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 47 (რა)	სოკო 47		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 48 (რა)	სოკო 48		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 49 (რა)	სოკო 49		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungus sp. 52 (რა)	სოკო 52		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Gentianaceae					
<i>Centaurium erythraea</i> Rafn. (რა)	ასისტავა		სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Gentiana cruciata</i> L. (რა)	ჯვრისებრი ნაღველა		ალარ გამოიყენება	ალარ გამოიყენება	ტყე
<i>Gentiana septemfida</i> Pall. (რა)	ნაღველა		ალარ გამოიყენება	ალარ გამოიყენება	ტყე
Geraniaceae					
<i>Erodium cicutarium</i> (L.) L'Hér. ex Aiton (რა)	სავარცხელა	ბატიფეხა	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Geranium</i> sp. (რა)	ნემსინვერა	ოქროსბეჭედა	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
Grossulariaceae					
<i>Ribes biebersteinii</i> Berl. ex DC (რა)	მოცხარი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
<i>Ribes grossularia</i> L. (რა)	მოცხარი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
<i>Ribes nigrum</i> L.	შავი მოცხარი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
<i>Ribes rubrum</i> L. (რა)	წითელი მოცხარი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
<i>Ribes</i> sp.	მოცხარი	სმაროდინა	საკვები	ნაყოფი	ტყე
<i>Ribes uva-crispa</i> L. (რა)	ხურტკმელი	ხურტკმელა	საკვები	ნაყოფი	ტყე
Guttiferae					
<i>Hypericum perforatum</i> L.	კრაზანა		სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე

Helleboraceae					
<i>Helleborus caucasicus</i> R. Br.	ხარისძირა		სამკურნალო, ვეტერინ.	აღარ გამოიყენება	ტყე
Hyacinthaceae					
<i>Ornithogalum</i> sp. (გუ)	ძალღნიორა	ჩიტისთავა	საკვები	მთელი მცენარე	ტყე
<i>Scilla siberica</i> Andrews (გუ)	ცისთვალა	ჩიტითვალა, ქუტიფხალი, ნიგვზისძირა	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
გასარკვევი					
სახეობა 1 (გუ)		ჩიაჩუა	სამკურნალო	ფოთოლი	ტყე, ბალ-ბოსტ.
სახეობა 2 (გუ)		კაკია (პატარა ფოთოლით)	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
სახეობა 3 (გუ)		ფრთაშეჭრილა, მინდვრისფხალა	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
სახეობა 4 (გუ)			ნაკეთობები	ღერო	ბალ-ბოსტ.
Juglandaceae					
<i>Juglans mandshurica</i> Maxim. (გუ)	პეკანი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
<i>Juglans regia</i> L.	კაკალი	ნიგოზი	საკვები, მშენებლ., ნაკეთობები	ნაყოფი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტ.
<i>Pterocarya pterocarpa</i> (Michx.) Kunth ex Iljinsk. (გუ)	ლაფანი		საკვები	ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Lamiaceae					
<i>Clinopodium vulgare</i> L. (გუ)	მოპიტნაო		საკვები	ფოთოლი	ტყე
<i>Lamium album</i> L.	ჭინჭრის დედა	ყვავილოვანი ჭინჭარა	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Leonotis leonurus</i> (L.) R. Br.	ლომისყურა	ლეონოტისი	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე, ბალ-ბოსტ.
<i>Leonurus quinquelobatus</i> Gilib. var. <i>caucasicus</i> Krestovsk. (რა)	შავბალახა		სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Melissa officinalis</i> L. (გუ)	ბარამბო	კამპლაბალახი, კამპლისბალახი	სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Mentha longifolia</i> (L.) L.	ტყის პიტნა	ვირიპიტნა	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე, ბალ-ბოსტ.
<i>Mentha pulegium</i> L.	პიტნა		საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე, ბალ-ბოსტ.
<i>Mentha</i> sp.	პიტნა		საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Mentha x piperita</i> L.	ბალის პიტნა	პიტნა	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Ocimum basilicum</i> L.	რეჰანი	სამკვლავი, სამტრამი	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Origanum vulgare</i> L. (რა)	თავშავა		საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე

<i>Rosmarinus officinalis</i> L. (გუ)	როზმარინი		სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Salvia glutinosa</i> L. (რა)	სალბი		აღარ გამოიყენება	აღარ გამოიყენება	ტყე
<i>Salvia verticillata</i> L. (რა)	დაჯირა	ყვანჩალა	საკვები, ცხოველთა საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე, ბალ- ბოსტ.
<i>Satureja hortensis</i> L.	ქონდარი		საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Satureja laxiflora</i> C. Koch (გუ)	ველური ქონდარი		სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Satureja spicigera</i> Boiss	ქონდარი		საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Stachys</i> sp. (გუ)	დედაფუტკარა		სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Teucrium</i> spp. (რა)	კუტი ბალახი		სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
<i>Thymus caucasicus</i> Willd. ex Benth. (გუ)	ბეგქონდარა	ქონდარი	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ.
<i>Ziziphora serpyllacea</i> M. Bieb. (რა)	ურცი		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Lauraceae					
<i>Laurus nobilis</i> L. (გუ)	დაფნა		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
<i>Persea americana</i> Mill. (გუ)	ავოკადო		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Lepiotaceae					
<i>Macrolepiota procera</i> (Scop.) Springer	წეროსწვივა	ცერცეო, ხარხუშა, ცერა	საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Linaceae					
<i>Linum usitatissimum</i> L. (გუ)	სელი		საკვები, ნაკეთობები	თესლი, ღერო	ბალ-ბოსტ.
Lycopodiaceae					
<i>Lycopodium annotinum</i> L. (რა)	ლიკოპოდიუმი	მგლის ფეხი	სამკურნალო	სპორები	ტყე
Lythraceae					
<i>Lythrum salicaria</i> L. (რა)	ცოცხმაგარა		აღარ გამოიყენება	აღარ გამოიყენება	ტყე
<i>Punica granatum</i> L. (გუ)	ბროწეული		საკვები	ნაყოფი	ტყე, ბალ- ბოსტ.
Magnoliaceae					
<i>Liriodendron tulipifera</i> L. (გუ)	ხეტიტა		ორნამენტ.	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
<i>Magnolia</i> sp. (გუ)	მაგნოლია		ორნამენტ.	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Malvaceae					
<i>Alcea rosea</i> L. (რა)	ბალის ტუხტი	რუსული მოლოქა	საკვები	ფოთოლი	ტყე
<i>Gossypium barbadense</i> L. (გუ)	ბამბა		ნაკეთობები	თესლი	ბალ-ბოსტ.
<i>Malva sylvestris</i> L. / <i>M. neglecta</i> L.	ბალბა	მოლოქა, მოლოქი, დუხტიმოლოქი	საკვები	ფოთოლი	ტყე
<i>Tilia caucasica</i> Rupr.	ცაცხვი	ფარა	ცხოველთა საკვები; მშენებლ.; საკვები; შეშა; სამკურნალო; ნაკეთობები	ყვავილი, ფოთოლი, ღერო, ნორჩი ფოთოლი	ტყე

Melanthiaceae						
<i>Veratrum lobelianum</i> Bernh. (გუ)	შხამა	ხაპურაკა	ვეტერინ.	ფოთოლი, ყლორტი	ტყე	
Moraceae						
<i>Ficus carica</i> L.	ლელვი	ჩიტლელვი, თეთრლელვა, შავლელვა	საკვები, სამკურნალო, ვეტერინ.	ნაყოფი, ფოთოლი	ტყე, ბალ-ბოსტ.	
<i>Morus alba</i> L.	თუთა	ბჟოლა	ცხოველთა საკვები, მშებებლობა, საკვები, ნაკეთობები	ფოთოლი, ნაყოფი, ღერო	ტყე	
Morchellaceae						
<i>Morchella esculenta</i> (L.) Pers (რა)ხარისფაშვა			საკვები	ნაყოფსხეული	ტყე	
Musaceae						
<i>Musa x paradisiaca</i> L. (გუ)	ბანანი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.	
Myrtaceae						
<i>Acca sellowiana</i> (O. Berg.) Burret (გუ)	ფეიხოა		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.	
<i>Eucalyptus saligna</i> Sm. (გუ)	ევკალიპტი		სამკურნალო	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.	
Oleaceae						
<i>Fraxinus excelsior</i> L.	იფანი	კოპიტი	მშენებლ., შეშა ნაკეთობები	ღერო	ტყე	
<i>Ligustrum vulgare</i> L. (რა)	კვიდო		ნაკეთობები	ღერო	ტყე	
<i>Syringa vulgaris</i> L. (გუ)	იასამანი		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე	
Oxalidaceae						
<i>Avrrhoa carambola</i> L. (გუ)	კარამბოლი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.	
Papaveraceae						
<i>Chelidonium majus</i> L.	ქრისტესისხლა		სამკურნალო	ფოთოლი, ყლორტი	ტყე	
Passifloraceae						
<i>Passiflora incarnata</i> L. (გუ)	პასიფლორა		სამკურნალო	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.	
Physalacriaceae						
<i>Armillariella mellea</i> (Vahl) P. Kumm (რა)	მანჭკვალა		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე	
Phytolaccaceae						
<i>Phytolacca americana</i> L. (გუ)	ჭიაფერა		საკვები	ნაყოფი	ტყე	
Pinaceae						
<i>Abies nordmanniana</i> (Steven) Spach	სოჭი	ჩიხრი, ცველა	მშენებლ., შეშა	ღერო	ტყე	
<i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.	ნაძვი	ცველა	მშენებლ., შეშა	ღერო	ტყე	
<i>Pinus kochiana</i> Klotzsch ex K. Koch	ფიჭვი	ნაძვი, კატარი, ცველა	მშენებლ., შეშა	ღერო	ტყე	

Plantaginaceae					
<i>Plantago lanceolata</i> L.	მრავალძარღვა		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
<i>Plantago major</i> L.	მრავალძარღვა		სამკურნალო, საკვები	ფოთოლი	ტყე
Pleurotaceae					
<i>Pleurotus ostreatus</i> (Jacq.) P. Kumm. (რა)	ხეთამხალი	ხის სოკო, ჭყუბლა	საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Pluteaceae					
<i>Pluteus cervinis</i> (Schaeffer Fr.) P. Kumm. (რა)	ირმის რქა		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Poaceae					
